

ძვირფასო პედაგოგები,

შეგახსენებთ, რომ დაწყებითი საფეხურის მასწავლებელთა სასერტიფიკაციო ტესტი შედგება ორი ნაწილისგან – პროფესიული ცოდნა და მეთოდოლოგია (80 ქულა) და აკადემიური უნარები (20 ქულა). მინიმალური კომპეტენციის ზღვარი დადგენილია თითოეული ნაწილისთვის (40%-ზე მეტი). შესაბამისად, იმისთვის, რომ აპლიკანტმა წარმატებით ჩააბაროს გამოცდა, მან უნდა დააგროვოს სულ მცირე 33 ქულა I ნაწილში და სულ მცირე 9 ქულა – II ნაწილში.

გაითვალისწინეთ, რომ $33+9=42$ ქულის დაგროვება არის აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობა გამოცდის წარმატებით ჩასაბარებლად. მინიმალური კომპეტენციის ზღვარი მთელი ტესტისთვის არის 61 ქულა (100 ქულიანი ტესტის 60%-ზე მეტი).